

საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის სამოქალაქო სამართლებრივი
რეგულირება

ნინო თოდუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი-დავით ქოჩიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც, წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო თოდუა

01 ივლისი, 2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება თანამედროვე სამართლებრივ გამოწვევებს და პრობლემებს საჭაერო გადაზიდვების სფეროში. ცივილიზაცია ყოველდღიურ პროგრესს განიცდის, რაც უამრავ სიახლესა და გამოწვევას ნიშნავს. ეკონომიკური განვითარების, ქვეყნების ერთმანეთთან დაახლოებისა და გლობალიზაციის პროცესის დამსახურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავება და განვითარება. აღნიშნულმა ფაქტორებმა კი, ბუნებრივია, უფრო აქტუალური გახდა საჭაერო გადაზიდვების საკითხი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პროპორციულად, საჭირო გახდა საჭაერო გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება, აზემოთ თქმულის გათვალისწინებით სამოქალაქო ბრუნვისას მრავალი პრობლემა იჩენს თავს.

კვლევის მიზანია, ჩვენს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოკვეთა და საერთაშორისო, უნიფიცირებულ კანონმდებლობასთან შედარების გზით სწორედ იმ პრობლემების წამოჭრა, რომლებიც საჭაერო გადაზიდვების კუთხით დაბრკოლებებს ქმნის. აღნიშნული ნაშრომის მიზანია, საერთაშორისო ნორმებთან შეუსაბამობის დადგენა, რათა გამოიკვეთოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები.

შეესაბამება თუ არა ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო კანონმდებლობის პრინციპებს? აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა დაგვეხმარება კვლევის პროცესში პრობლემატური საკითხების გამოყოფაში.

ნაშრომში განხილული პრობლემების კვლევის პროცესში გამოყენებულია შემდეგი კვლევის მეთოდები: შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც აღნიშნული კვლევის მიზნებისთვის არსებითი მნიშვნელობისაა, ვინაიდან კვლევის ერთ-ერთი მიზანია იმ ხარვეზების წარმოჩენა რაც ჩვენს კანონმდებლობაშია და შიდა კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

ქართული კანონმდებლობის ანალიზი, განვიხილავ ვარშავისა და მონრელის კონვენციებს და ქართული კანონმდებლობის მასთან შესაბამისობას, გამოყენებულია ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა. რაც საერთაშორისო სტანდარტებს დაგვანახებს ამ კუთხით.

ნაშრომში გაკეთებული დასკვნები გაკეთებული საფუძვლიანი კვლევების შედეგად. აღნიშნულ ნაშრომში გამოკვეთილი პრობლემური საკითხების ანალიზი და რეკომენდაციები მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებებისთვის, წარმოდგენილი კვლევა დაეხმარება აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ სტუდენტებსა და მკვლევარებს.

კვლევის პროცესში გამოვლინდა მრავალი საკანონმდებლო ხარვეზი, როგორც უნიფიცირებულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ასევე ტერმინოლოგიური ხარვეზები, დეფინიციის თვალსაზრისით. საყურადღებოა სამოქალაქო კოდექსში გადაზიდვის შესახებ დანაწესი, რომელიც ზოგადია, აუცილებელია მისი კონკრეტიზება. საჭიროა საკანონმდებლო ნორმების გადახვევა და განახლება.¹

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტვირთის საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საჰაერო კოდექსი, მონრელის კონვენცია, ჩიკაგოს კონვენცია, ვარშავის კონვენცია, გადაზიდვის ხელშეკრულება.

¹ ნინო თოდუა, „საერთაშორისო სავაჭრო სამართალი; საჰაერო გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება“ თბილისი, 2019. მოცემული მონაკვეთი დამუშავებულია კურსის აკადემიური წერის ფარგლებში

Abstract

The present issue is about present day legal challenges and problems in terms of air transportation of goods. The relevance of the research issue is due both developing a business and daily life of each customer.

The main aim of the research is to present legal deficiency in our legislation and finding the shortcomings that cause problems in the air carriage by comparing it with unified legislation. There is compared Georgian legislation regarding to the Montreal convention. Present work analyzes legal problems that showing the needs to change civil code and air code of Georgia. The article deals with some technical and terminological faults of Georgian legislation. It also focuses on carrier's civil liability and grounds for the exemption from this liability during carriage of goods.

In the progress of research of the problems discussed in the paper is used: comparable-legal, systematic, analysis of international and local case law.

As a result, in the research revealed some problems in the Georgian legislation, such as terminological and technical shortcomings.

Key words: International air carriage of goods, Civil code of Georgia, Air code of Georgia, Montreal convention, Chicago convention, Warsaw convention, Contract of carriage.